ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და

საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი N 17

17თებერვალი, 2023 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

14:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

შალვა ოგბაიძე

სხდომას ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები:

მარიკა დარჩია-საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი

მანანა აბაშიძე

მარინა საღარაძე

ნანული სარაჯიშვილი

ნანა გვანცელაძე

ლალი გვანცელაძე

თემურ სინჯიაშვილი

მარია ფილინა

ზეატა კარას

ჟუჟუნა ხარძიანი

დარეჯან(დოდო) გუგეშაშვილი

ზურაბ გამყრელიძე

ჯუმბერ გელაშვილი

თამარ ჯიჯიხია

ვარლამ დოლიძე

ელენე ბასილაია

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლიხაურის ჩიხისთვის კინომსახიობის გოჩა აბაშიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დავით სულიაშვილის ქუჩისთვის მსახიობის გურამ საღარაძის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სამასი არაგველის III შესახვევისთვის ოპერის მომღერლის ზურაბ სოტკილავას ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, არბოშიკის ქუჩისთვის რეჟისორის გურამ მელივას სახელის მინიჭების შესახებ

5. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სიმონ და თინა ყაუხჩიშვილების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის ლოტბარის თემურ ქევხიშვილის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, თამაზ ნადარეიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვაჟა გვანცელაძის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ძმები ყურაშვილების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ალექსანდრე ხახანაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის ექიმ-უროლოგის, აკადემიკოს ლავრენტი მანაგაძის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ფაბრიკის შესახვევისთვის არქიტექრორის ალექსანდრე შიმკევიჩის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის III შესახვევისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ძმები სიმენსების ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
10. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, პეტრე გრუზინსკის ქუჩის შესახვევისთვის, მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის და ჭიჭიკო ბენდელიანის II ჩიხისთვის სამხედრო მოღვაწის, გენერალ ნესტორ გარდაფხაძის სახელის მინიჭების შესახებ
11. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ალექსანდრე სუვოროვის ქუჩისთვის და ლამისყანის ქუჩის მონაკვეთისთვის საზოგადო მოღვაწეების ნიკოლოზ და გიორგი ხიმშიაშვილების სახელის მინიჭების შესახებ
12. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ჭიჭინაძის ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების გიორგი და ზვიად უგრეხელიძეების სახელის მინიჭების შესახებ
13. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, დემნა შენგელაიას ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის თორნიკე ქურდაძის სახელის მინიჭების შესახებ
14. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ქედის შესახვევისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის მწერლის დემნა შენგელაიას სახელის მინიჭების შესახებ
15. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ზაალ დუმბაძის ქუჩისთვის გერგეტის შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.
16. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, შუამთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის პოლკოვნიკის ზაალ დუმბაძის სახელის მინიჭების შესახებ
17. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დიმიტრი ჟღენტის ქუჩის მონაკვეთისთვის საზოგადო მოღვაწის, პროფესორ გურამ თავართქილაძის სახელის მინიჭების შესახებ.
18. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის II ჩიხისთვის ქერჩის ქუჩის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.
19. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩისთვის, მასთან არსებული ჩიხებისთვის, შესახვევებისთვის და გასასვლელებისთვის ახალი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის სახელის მინიჭების შესახებ.

20. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ.
21. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ჭრებალოს I შესახვევისთვის და უწერის II შესახვევისთვის ლიბანის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.
22. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, კვესეთში, ბეთანიის მონასტრის III შესახვევის გაგრძელების შესახებ.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ დამსწრე საზოგადოებასთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი.

1. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლიხაურის ჩიხისთვის კინომსახიობის გოჩა აბაშიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო პირველი საკითხი. კომისიაში შემოსულია მოქალაქე მანანა აბაშიძის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთი ქუჩას მიენიჭოს კინომსახიობ გოჩა აბაშიძის სახელი. გოჩა აბაშიძემ თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე შექმნა ყველასთვის დაუვიწყარი რამდენიმე კინოსახე, რომლითაც უამრავ მაყურებელს დაამახსოვრა თავი. კომისიამ გარემოებების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნია დედაქალაქში არსებობდეს მისი სახელობის ქუჩა.

ქუჩის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა ის, რომ ლიხაურის ჩიხი, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს ძირითად (ლიხაურის) ქუჩასთან, შესაძლებელია ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად. იგი მდებარეობს ვიქტორ დოლიძის ქუჩის კვეთაზე.

აზრი გამოთქვა:

სხდომას ესწრებოდა დაინტერესებული პირი, გოჩა აბაშიძის ქალიშვილი მანანა აბაშიძე. მან მადლობა გადაუხადა კომისიას აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, ლიხაურის ჩიხს მიენიჭოს კინომსახიობის გოჩა აბაშიძის ქუჩის სახელი.

2. **ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დავით სულიაშვილის ქუჩისთვის მსახიობის გურამ საღარაძის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს აღნიშნული საკითხის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. კომისიაში შემოსულია სსიპ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, რობერტ სტურუას წერილი, რომლითაც თეატრის სახელით ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს მსახიობის გურამ საღარაძის სახელი. ქუჩის შერჩევის პროცესში კომისიამ გაითვალისწინა გურამ საღარაძის ოჯახის წევრებისა და რუსთაველის თეატრის სამხატვრო დასის წევრების მოსაზრებები ქუჩის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით. შესწავლილი იქნა დავით სულიაშვილის ბიოგრაფიული მონაცემები და მისი სახელობის ქუჩის განვითარების არეალი. დ. სულიაშვილი დაიბადა დაბა სურამში, გორის სასულიერო სემინარიაში სწავლის პარალელურად აქტიურად ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. პირადი ნაცნობობა აკავშირებდა ვლადიმერ ლენინთან. სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში, იყო სურამის თვითმმართველობაში მმართველი, ბაქოში რუსეთ-სპარსეთის ამხანაგობის მმართველი, არქივის გამგე. ხსენებული გარემოებების, ღვაწლის შეფასებისა და

ერთობლივი კონსულტაციების საფუძველზ,ე სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს დავით სულიაშვილის ქუჩისთვის გურამ საღარაძის სახელის მინიჭებას.

აზრი გამოთქვა: სხდომას ესწრებოდა გურამ საღარაძის ოჯახის წევრი მარინა საღარაძე. მან მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს საკითხის დადებითად გადაწყვეტისთვის და აღნიშნა, რომ მსახიობი გაიზარდა ხსენებულ უბანში, ოჯახისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სწორედ აქ განხორციელდება სახელდება.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეორე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ჩუღურეთის რაიონში, დავით სულიაშვილის ქუჩას მიენიჭოს მსახიობ გურამ საღარაძის სახელი

3. **ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სამასი არაგველის III შესახვევისთვის ოპერის მომღერლის ზურაბ სოტკილავას ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ დღის წესრიგით წარმოდგენილი მესამე საკითხი განიხილა. აღნიშნული საკითხი კომისიის ინიციატივაა. კომისიამ გაითვალისწინა ზურაბ სოტკილავას შემოქმედებითი მოღვაწეობა და დამსახურებული ჯილდოები. იგი იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, პედაგოგი, ბოლონიის სამუსიკო აკადემიის საპატიო აკადემიკოსი. სახელდებისთვის შერჩეულ იქნა ისნის რაიონში სამასი არაგველის III შესახვევი, რომელიც შესაძლებელია ჩამოყალიბდეს დამოუკიდებლ ქუჩად. ქუჩის მდებარეობასთან დაკავშირებით კონსულტაციები გაიმართა მომღერლის ოჯახის წევრებთან.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, სამასი არაგველის III შესახვევს მიენიჭოს ოპერის მომღერლის ზურაბ სოტკილავას ქუჩის სახელი.

4. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, არბოშიკის ქუჩისთვის რეჟისორის გურამ მელივას სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, ბადრი მაისურაძის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს ქართველი რეჟისორის გურამ მელივას სახელი.

კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხი და გურამ მელივას ბიოგრაფია. რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, „ხელოვნების ქურუმის“ წოდების მფლობელი 2014 წელს თბილისში გარდაიცვალა, დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. კომისიამ სახელდებისთვის შეარჩია ისნის რაიონში, სამასი

არაგველის III შესახვევთან (რომელსაც ზურაბ სოტკილავას სახელი ერქმევა) მდებარე არბოშიკის ქუჩა.

ისნის რაიონში, შავსოფლის ტერიტორიაზე მდებარე შესახვევს არბოშიკის ქუჩის სახელი 1961 წელს ეწოდა. ვინაიდან არბოშიკი ტიპიური ქართული სოფელია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში და არ მიეკუთვნება ტოპონიმურ სახელწოდებათა რიგს კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ცვლილების განხორციელება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, არბოშიკის ქუჩას მიენიჭოს რეჟისორის გურამ მელივას სახელი.

5. **ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სიმონ და თინა ყაუხჩიშვილების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის ლოტბარის თემურ ქევხიშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი. კომისიაში შემოსულია ა(ა) მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორის თინათინ რუხაძის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს ლოტბარის თემურ ქევხიშვილის სახელი. კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია თბილისში არსებობდეს პედაგოგის, საქართველოს სახალხო არტისტის, ლოტბარის

თემურ ქევხიშვილის სახელობის ქუჩა. თემურ ქევხიშვილს მიღებული ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო პრემია, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. 2013 წელს ფონდმა „ქართული გალობა“ თემურ ქევხიშვილი „საუკუნის ხმად“ აღიარა.

სახელდებისთვის შერჩეულ იქნა უსახელო ქუჩა ისნის რაიონში, სიმონ და თინა ყაუხჩიშვილების ქუჩასთან, რომელთანაც განვითარებულია ერთი უსახელო ჩიხი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, სიმონ და თინა ყაუხჩიშვილების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთ ჩიხს მიენიჭოს ლოტბარის თემურ ქევხიშვილის სახელი.

6. **ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, თამაზ ნადარეიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვაჟა გვანცელაძის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის ვიქტორ სანიკიძის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვაჟა გვანცელაძის სახელი.

ვაჟა გვანცელაძე გახლდათ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოის ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. მისი ღვაწლი საკმარისად დიდია სამედიცინო მეცნიერების განვითარების საქმეში, განსაკუთრებით გასტრო-ენტეროლოგიაში. აღსანიშნავია მისი სპორტული მოღვაწეობაც ახალგაზრდულ წლებში. მას კალათბურთში მიღწეული წარმატებისთვის მიღებული აქვს „სპორტის რაინდის“ ორდენი. დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“.

კომისიის მიერ სახელდებისთვის შეირჩა ვაკის რაიონში თამაზ ნადარეიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩა.

აზრი გამოთქვა: სხდომაზე დამსწრე პირმა, ვაჟა გვანცელაძის ოჯახის წევრმა ნანა გვანცელძაემ მადლობა გადაუხადა კომისიას ვაჟა გავნცელაძის პიროვნების დაფასებისთვის იმ მრავალი ჯილდოების შემდეგ, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე დაიმსახურა.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა მეექვსე საკითხს.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, თამაზ ნადარეიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვაჟა გვანცელაძის სახელი

7. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ძმები ყურაშვილების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ალექსანდრე ხახანაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის ექიმ-უროლოგის, აკადემიკოს ლავრენტი მანაგაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია საქართველოს უროლოგთა ასოციაციის გენერალური მდივნის არჩილ ჩხოტუას, საქართველოს უროლოგთა ასოციაციის საბჭოს წევრების თეიმურაზ ჩიგოგიძის, გიორგი მანაგაძის, ამბროსი პერტიას, ალექსანდრე ხელაიას და ზაზა ჭანტურიას წერილი, რომლითაც ითხოვენ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოსის ლავრენტი მანაგაძის სახელი. ლავრენტი მანაგაძე მრავალმხრივი საგანმანათლებლო და პროფესიული საქმიანობის გარდა, დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნისა და ღირსების ორდენებით, ასევე მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემიით.

ლავრენტი მანაგაძე უკანასკნელ წლებში მუშაობდა ა. წულუკიძის სახელობის ეროვნულ ცენტრში, აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიამ სახელდებისთვის შეარჩია ქუჩა სწორედ ამ კლინიკის ტერიტორიასთან. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მიმდებარედ არსებობს ექიმების ძმები ყურაშვილების ქუჩაც, ამიტომ ხსებეული სახელდება თემატურადაც გამართლებულია.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, ისნის რაიონში, ძმები ყურაშვილების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და ალექსანდრე ხახანაშვილის ქუჩის მონაკვეთს (რამდენიმე მეტრიანი ნაწილი, რომელიც ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით საპროექტო ტერიტორიის გეგმარებითი გაგრძელებაა) მიენიჭოს აკადემიკოს ლავრენტი მანაგაძის სახელი.

აზრი გამოთქვა: სხდომას ესწრებოდა დაინტერესებული პირი თემურ სინჯიაშვილი. მან მადლობა გადაუხადა კომისიას ბატონ ლავრენტი მანაგაძის დაფასებისთვის და აღნიშნული ქუჩის შერჩევისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, ძმები ყურაშვილების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და ალექსანდრე ხახანაშვილის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს აკადემიკოს ლავრენტი მანაგაძის სახელი.

8. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ფაბრიკის შესახვევისთვის არქიტექრორის ალექსანდრე შიმკევიჩის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი გააცნო. კომისიაში შემოსულია საქართველოს პოლონელთა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „პოლონიას“ თავმჯდომარის მარია ფილინას წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს არქიტექტორის ალექსანდრე შიმკევიჩის სახელი. ალექსანდრე შიმკევიჩი იყო მე-19 საუკუნის ბოლოს თბილისის მთავარი არქიტექტორი: შოთა რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრი, კონსერვატორია, უზენაესი სასამართლო და არაერთი ისტორიული შენობა, რომელიც დედაქალაქის სავიზიტო ბარათია, ალექსანდრე შიმკევიჩის პროექტებია.

მან მთელი თავისი შემოქმედება თბილისს მიუძღვნა. ვინაიდან ალექსანდრე შიმკევიჩის თბილისში მოღვაწეობა დაკავშირებულია ქალაქის ისტორიულ ნაწილთან, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია მისი სახელობის გეოგრაფიული ობიექტი არსებობდეს ქალაქის ძველი უბნების რადიუსში. ფაბრიკის შესახვევი მდებარეობს ვახტანგ გორგასლის ქუჩასთან, აბანოთუბნის მიმდებარედ, ამ ტერიტორიაზე ოდესღაც ტყავის ფაბრიკა ყოფილა, შემდგომ ტერიტორია საცხოვრებელმა სახლებმა ჩაანაცვლა,

შესახვევი განვითარდა დამოუკიდებელ ქუჩად და მიზანშეწონილია ცვლილების განხორციელება.

აზრი გამოთქვა: სხდომას ესწრებოდა საქართველოს პოლონელთა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „პოლონიას“ თავმჯდომარე მარია ფილინა. მან ხაზი გაუსვა რომ დიდი ხანი იყო ამ თემაზე საუბარი. რომ არა შიმკევიჩი თბილისი იქნებოდა განსხვავებული, რადგან ძალიან ბევრი ცნობილი და ლამაზი არქიტექტურული შენობა შიმკევიჩის პროექტითაა აშენებული. მარია ფილინამ ასევე გააჟღერა პოლონეთის ელჩის სიტყვები, რომ ალექსანდრე შიმკევიჩი სწორედ ქართველების პოლონელია.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: კრწანისის რაიონში, ფაბრიკის შესახვევს მიენიჭოს არქიტექრორის ალექსანდრე შიმკევიჩის ქუჩის სახელი.

9. **ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის III შესახვევისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ძმები სიმენსების ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, 2020 წლის 30 ნოემბერს კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თამარ ტალიაშვილის წერილი, რომლითაც ითხოვს დედაქალაქის ერთ-ერთი ქუჩისთვის ძმები სიმენსების სახელის მინიჭებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ძმები სიმენსების ბიოგრაფიის შესწავლისას კომისიამ იმსჯელა მათ მოღვაწეობაზე საქართველოს ინდუსტრიულ-ტექნოლოგიური განვითარების პროცესში, რამაც თავისთავად გააღრმავა XIX საუკუნის გერმანულ-ქართული ურთიერთობები. სახელდებისთვის კომისიამ შეარჩია ფაბრიკის შესახვევთან, რომელსაც შიმკევიჩის სახელი ერქმევა, მდებარე ვახტანგ გორგასლის III

შესახვევი, რომელიც ასევე განვითარდა განაშენიანების პროცესთან ერთად და ქალაქგეგმარებითი კუთხით მიზანშეწონილია მისი ერთ დამოუკიდებელ ქუჩად ჩამოყალიბება უსახელო მონაკვეთთან ერთად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის III შესახვევს და მასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ძმები სიმენსების ქუჩის სახელი.

10. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, პეტრე გრუზინსკის ქუჩის შესახვევისთვის, მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის და ჭიჭიკო ბენდელიანის II ჩიხისთვის სამხედრო მოღვაწის, გენერალ ნესტორ გარდაფხაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიას განსახილველად წარუდგინა შემდეგი საკითხი. მისი ინფორმაციით პეტრე გრუზინსკის შესახვევი მოიცავს ერთმანეთთან დაუკავშირებელ მონაკვეთებს. ობიექტი მდებარეობს ძირითადი ქუჩის პერპენდიკულარულად, შესახვევთან განვითარებულია უსახელო ჩიხი. ხსენებულ ობიექტს ესაზღვრება ჭიჭიკო ბენდელიანის II ჩიხი, რომელიც კავშირში არაა ჭიჭიკო ბენდელიანის ქუჩასთან. აღნიშნული უზუსტობის აღმოფხვრა შესაძლებელია შესახვევის ნაწილის ქუჩად, ხოლო ნაწილის ჩიხებად ფორმირებით. ნესტორ გარდაფხაძე იყო სამხედრო მოღვაწე, მაიორი, ანტისაბჭოთა მოძრაობის მონაწილე. იყო ქართული სამხედრო

სკოლის ასეულის მეთაური, იბრძოდა საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ ტაბახმელას ფრონტზე. ქართველი გენერალი ბოლშევიკებმა 1924 წელს დახვრიტეს.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეათე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, პეტრე გრუზინსკის ქუჩის შესახვევს, მასთან არსებულ უსახელო ჩიხს და ჭიჭიკო ბენდელიანის II ჩიხს მიენიჭოს სამხედრო მოღვაწის, გენერალ ნესტორ გარდაფხაძის სახელი

11. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ალექსანდრე სუვოროვის ქუჩისთვის და ლამისყანის ქუჩის მონაკვეთისთვის საზოგადო მოღვაწეების ნიკოლოზ და გიორგი ხიმშიაშვილების სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, ალექსანდრე სუვოროვის ქუჩას სახელი 1950 წელს მიენიჭა. ალექსანდრე სუვოროვი რუსი მხედართმთავარი და სამხედრო თეორეტიკოსი იყო. მისი მოღვაწეობა დაკავშირებულია მეფის რუსეთის სამხედრო საქმიანიბასთან და საქართველოსთან კავშირი არ ჰქონია.

სუვოროვის ქუჩას ესაზღვრება ლამისყანის ქუჩის დაახლოებით 10 მეტრიანი მონაკვეთი, რომელიც ალექსანდრე სუვოროვის ქუჩის ლოგიკური გაგრძელებაა. ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ქუჩას მიენიჭოს მამა-შვილის ნიკოლოზ და გიორგი ხიმშიაშვილების სახელი.

ნიკოლოზ ხიმშიაშვილი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, მეგობრობდა ილია ჭავჭავაძესთან. მისი შვილი, გიორგი ხიმშიაშვილი-ქართველი სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, მონაწილეობდა არაერთ

ბრძოლაში წითელი არმიის და საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, მათ შორის იატაკქვეშა მოძრაობაში. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის „სამხედრო ცენტრში“ წარმოადგენდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. 1923 წლის მაისში დააპატიმრეს და დახვრეტა მიუსაჯეს.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეთერთმეტე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, ალექსანდრე სუვოროვის ქუჩას და ლამისყანის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს საზოგადო მოღვაწეების ნიკოლოზ და გიორგი ხიმშიაშვილების სახელი.

12. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ჭიჭინაძის ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების გიორგი და ზვიად უგრეხელიძეების სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია მოქალაქე ჟუჟუნა ხარზიანის განცხადება, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების გიორგი და ზვიად უგრეხელიძეების სახელის მინიჭებას. კომისიამ შეისწავლა გიორგი და ზვიად

უგრეხელიძეების საბრძოლო მოკვლევა. ძმები გიორგი და ზვიად უგრეხელიძეები დაჯილდოებულნი არიან მედლით „მხედრული მამაცობისთვის“.

კომისიისთვის ცნობილია, რომ თბილისში არსებობს რამდენიმე ჭიჭინაძის ქუჩა, მათგან ერთ-ერთი მდებარეობს გლდანის რაიონში. გამომდინარე იქიდან, რომ უცნობია, თუ ვის სახელს ატარებს ეს კონკრეტული (ჭიჭინაძის) ქუჩა, კომისიამ იმსჯელა და მიზანშეწონილად ჩათვალა მისთვის სახელის ცვლილება. ქუჩასთან ასევე მდებარეობს ორი შესახვევი.

აზრი გამოთქვა: სხდომას ესწრებოდა გიორგი და ზვიად უგრეხელიძეების დედა ჟუჟუნა ხარზიანი. მან მადლობა გადაუხადა კომისიას მისი შვილების გმირობის დაფასებისთვის.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეთორმეტე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, ჭიჭინაძის ქუჩას და მასთან არსებულ ორ შესახვევს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების გიორგი და ზვიად უგრეხელიძეების სახელი.

13. **ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, დემნა შენგელაიას ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის თორნიკე ქურდაძის სახელის მინიჭების შესახებ**

14. **ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ქედის შესახვევისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის მწერლის დემნა შენგელაიას სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია საერთაშორისო ასოციაცია „დაიცავი შენი წილი სამშობლოს“ თავმჯდომარის დარეჯან გუგეშაშვილის წერილი, რომლითაც ითხოვს დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში

დაღუპული მებრძოლის თორნიკე ქურდაძის სახელი. აღნიშნული საკითხის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ თორნიკე ქურდაძე ცხოვრობდა დემნა შენგელაიას ქუჩაზე. კომისიისთვის ცნობილი გახდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნა აღნიშნული ქუჩის სახელის ცვლილება იყო. საკითხის განხილვის პროცესში, საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მონაწილეობით რამდენიმე შეხვედრა გაიმართა როგორც ადგილობრივ მოსახლეობასთან, ასევე გლდანის რაიონიდან სხვადასხვა საომარ მოქმედებებში მონაწილე ვეტერანებთან.

დემნა შენგელაიას სახელობის ქუჩის გლდანის რაიონში არსებობის და მისი შესაძლო გადატანის საკითხთან დაკავშირებით, კონსულტაციები გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელთან, ავთანდილ არაბულთან. აკადემიის მოსაზრებით მიზანშეწონილია დემნა შენგელაიას სახელობის ქუჩა არსებობდეს სხვა რაიონში.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება გლდანის რაიონში, დემნა შენგელაიას ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის თორნიკე ქურდაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

დემნა შენგელაიას სახელი კი მიზანშეწონილია მიენიჭოს ჩუღურეთის რაიონში მდებარე ქედის შესახვევს და მასთან არსებულ ორ ჩიხს. ქედის შესახვევის ქუჩად ჩამოყალიბების საჭიროება გამოწვეულია ქალაქგეგმარებითი აუცილებლობით. არ არსებობს ქედის ქუჩა, ხოლო შესახვევი ურბანული თვალსაზრისით განაშენიანებულია და მის მიმდებარედ განვითარებულია ორი ჩიხი.

აზრი გამოთქვა: სხდომას ესწრებოდა დაინტერესული პირი, საერთაშორისო ასოციაცია „დაიცავი შენი წილი სამშობლოს“ თავმჯდომარე დარეჯან გუგეშაშვილი. მან მადლობა გადაუხადა კომისიას იმისათვის, რომ ის ცდილობს და ახერხებს კიდეც საქართველოსთვის შეწირული გმირების სახელები დაამკვიდროს ქუჩების, სკვერების სახით. „ეს მარტო თანამებრძოლებისთვის კი არ არის, ეს არის მომავალი თაობებისთვისაც, რათა მათ იცოდნენ, რომ უფალი და საქართველო არის ყველაზე დიდი და წმინდა ღირებულება.“ გლდანის მაცხოვრებლების სახელით მან კიდევ ერთხელ გადაუხადა კომისიას აღნიშნული სახელდებისთვის.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეცამეტე და მეთოთხმეტე საკითხები.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, დემნა შენგელაიას ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის თორნიკე ქურდაძის სახელი

ჩუღურეთის რაიონში, ქედის შესახვევს და მასთან არსებულ ჩიხს მიენიჭოს მწერლის დემნა შენგელაიას სახელი

15 ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ზაალ დუმბაძის ქუჩისთვის გერგეტის შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.

16. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, შუამთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის პოლკოვნიკის ზაალ დუმბაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია მოქალაქე ელენე ბასილაიას განცხადება, რომლითაც ითხოვს გერგეტის შესახვევისთვის (ახლანდელი ზაალ დუმბაძის ქუჩა) გერგეტის სახელის დაბრუნებას.

როგორც ცნობილია, კომისია სახელდების პროცესში მაქსიმალურად მუშაობს ისტორიული ტოპონიმების გამოვლენა-შენარჩუნებასა და აღდგენაზე. ხსენებულიდან და მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ზაალ დუმბაძის ქუჩას დაუბრუნოს გერგეტის შესახვევის სახელი, ხოლო პოლკოვნიკ ზაალ დუმბაძის სახელი მიენიჭოს სამგორის რაიონში შუამთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას. ხსენებულ ტერიტორიაზე სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით რამდენიმე ქუჩას 2022 წელს სხვადასხვა საომარ მოქმედებებში მონაწილე სამხედრო ჩინოსანთა სახელები ეწოდა.

აზრი გამოთქვა: სხდომაზე დამსწრე დაინტერესებულმა პირმა ვარლამ დოლიძემ მეზობლების სახელით მადლობა გადაუხადა კომისიას. მან მხოლოდ მოითხოვა დაეზუსტებულიყო რომელი ფორმა იყო სწორი "გერგეტი" თუ „გერგეთი". სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნოს უფროსმა მამუკა ბალიაშვილმა განუმარტა, რომ კომისიამ შეისწავლა ეს საკითხი, დაამუშავა ყველა მონაცემი. დაახლოებით ორი კვირა იკვლევდნენ,

რათა რაიმე სახის შეცდომა არ ყოფილიყო დაშვებული, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად გადაწყდა, რომ სახელწოდების სწორი ფორმაა „გერგეტი“.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხები.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, ზაალ დუმბაძის ქუჩას მიენიჭოს გერგეტის შესახვევის სახელი.

სამგორის რაიონში, შუამთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს პოლკოვნიკის ზაალ დუმბაძის სახელი

17. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დიმიტრი ჟღენტის ქუჩის მონაკვეთისთვის საზოგადო მოღვაწის, პროფესორ გურამ თავართქილაძის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის გიორგი მათიაშვილის წერილი, რომლითაც უნივერსიტეტის სახელით ითხოვს თბილისში, ნაძალადევის რაიონში ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს საზოგადო მოღვაწის, პროფესორ გურამ თავართქილაძის სახელი.

კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხი. პროფესორი გურამ თავართქილაძე ქართულ საზოგადოებაში, სამეცნიერო-პედაგოგიურ წრეებში აღიარებული მოღვაწე იყო. მისი საქმიანობა მთლიანად განათლებასთან იყო დაკავშირებული, სიღრმისეულად იცნობდა ხსენებულ დარგს. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მან შექმნა ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ქუჩის შერჩევის პროცესში (ნაძალადევის რაიონი), აღმოჩნდა, რომ გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტის ახლოს მდებარედ, დიმიტრი ჟღენტის ქუჩა მოიცავს რამდენიმე კილომეტრიან მონაკვეთს და მათ შორის აერთიანებს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით ისეთ მონაკვეთებს, რომელთა დამოუკიდებელ ქუჩად ჩამოყალიბებაა მიზანშეწონილი. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ამ მონაკვეთის სახელდება.

თუმცა, ვერ მოხერხდა ოჯახის წევრებთან შეთანხმება. მათი სურვილი იყო სახელი გადარქმეოდა სამღერეთის ან წერონისის ქუჩას. ვინაიდან ეს სახელწოდებები არის ტოპონიმური კომისიამ მხარი არ დაუჭირა მის შეცვლას.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე -არცერთი.

წინააღმდეგი - ოთხი.

თავი შეიკავა - არცერთი.

18. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის II ჩიხისთვის ქერჩის ქუჩის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.

19. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩისთვის, მასთან არსებული ჩიხებისთვის, შესახვევებისთვის და გასასვლელებისთვის ახალი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც სისტემური ნუმერაციის განხორციელების მიზნით ითხოვს მიხეილ იპოლიტ-ივანოვის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული გარკვეული უზუსტობების აღმოფხვრას

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ხსენებული ქუჩის გავრცელების არეალი არ იძლევა საშუალებას, რომ მის მიმდებარედ არსებული ქუჩების ნუმერაციის კორექტირება განხორციელდეს თანამიმდევრობით, ვინაიდან ზემოაღნიშნულ გეოგრაფიულ ობიექტს არ აქვს ქუჩისთვის აუცილებელი ძირითადი მახასიათებელი (ერთი დასაწყისი და დასასრული წერტილი).

შესაბამისად:

ა) მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის II ჩიხს მიენიჭება ქერჩის ქუჩის I ჩიხის სახელი, ვინაიდან ობიექტი ფაქტობრივად მდებარეობს ქერჩის ქუჩასთან.

ბ) მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩას, მასთან არსებული ჩიხებს, შესახვევებს და გასასვლელებს მიხეილ იპოლიტოვ ივანოვის სახელი მიენიჭება ახალი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად, ვინაიდან ქუჩის გავრცელების არეალის არსებული მდგომარეობა უზუსტობის სხვაგვარად აღმოფხვრის შესაძლებლობას არ იძლევა.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხები.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის II ჩიხს მიენიჭოს ქერჩის ქუჩის I ჩიხის სახელი

გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩას, მასთან არსებულ ჩიხებს, შესახვევებს და გასასვლელებს ახალი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად მიენიჭოს მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის სახელი

20. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი მეოცე საკითხი. კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, გიორგი ტაბატაძის რომლითაც ითხოვს უსახელო ქუჩის სახელდებას, მოქალაქე მზია ცინდელიანის მიმართვის საფუძველზე, მითითებული საკადასტრო ერთეულისთვის მისამართის მინიჭებასთან დაკავშირებით.

კომისიამ შეისწავლა ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ალექსი შიუკაშვილის ქუჩასთან და შესაძლებელია მისი გაგრძელება.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სამგორის რაიონში, გაგრძელდეს ალექსი შიუკაშვილის ქუჩა.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში გაგრძელდეს ალექსი შიუკაშვილის ქუჩა.

21. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ჭრებალოს I შესახვევისთვის და უწერის II შესახვევისთვის ლიბანის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ტაბატაძის წერილი, რომლითაც ითხოვს ჭრებალოს I და II ჩიხების სახელდებებთან დაკავშირებული მონაცემების დაზუსტებას.

საკითხის შესწავლის შემდგომ დადგინდა, რომ ხსენებულ ტერიტორიაზე, ბოლო წლებში განხორციელებულმა ურბანულმა ცვლილებებმა (რკინიგზის ხაზის გაყვანა და ა.შ.) მიზანშეწონილი გახდა ცვლილებები არსებულ სახელწოდებებში. ხსენებულის გათვალისწინებით არსებული ფაქტობრივი ვითარების სამართლებრივთან შესაბამისობაში მოსაყვანად მიზანშეწონილია ჭრებალოს I შესახვევის და უწერის II შესახვევის ხარჯზე გაგრძელდეს ლიბანის ქუჩა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, ჭრებალოს I შესახვევს და უწერის II შესახვევს მიენიჭოს ლიბანის ქუჩის სახელი

22. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, კვესეთში, ბეთანიის მონასტრის III შესახვევის გაგრძელების შესახებ.

მოიემინეს:

ნინო ვარდოსანიძემ განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი ბოლო საკითხი.მისი ინფორმაციით კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც ითხოვს უსახელო ქუჩის სახელდებას, მოქალაქე ასლან ქუმსიაშვილის მიმართვის საფუძველზე, მითითებული საკადასტრო ერთეულისთვის მისამართის მინიჭებასთან დაკავშირებით.

კომისიამ შეისწავლა ტერიტორია. მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს კვესეთში, ბეთანიის მონასტრის III შესახვევთან, რომლის გაგრძელებაც შესაძლებელია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, კვესეთში, გაგრძელდეს ბეთანიის მონასტრის III შესახვევი.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

ნინო ვარდოსანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე